მანანა კეჩხუაშვილი
იუნგიანელი ანალიტიკოსი,
საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ეთიკის არსი და მნიშვნელობა ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში

ეთიკის საკითხით ჩემი დაინტერესება გამოიწვია საზოგადოებაში ადამინებს შორის ურთიერთობაზე დაკვირვებამ, კერძოდ, კი ეთიკის დეფიციტმა, რაც ჩვენს სამუშაო პროცესშიც პოულობს ასახვას. მიუხედავად იმისა , რომ ჩვენ - ანალიტიკოსები რამდენადმე დაცული ვართ ე. წ. სამუშაო „ჩარჩოთი", ანალიტიკურ სეტინგში მყოფმა ფსიქოთერაპევტმა ყურადღება უნდა მიაქციოს, გააანალიზოს და დახვეწოს ეთიკური საკითხები, რაც თავის მხრივ, გადაჯაჭვულია ტრნსფერ-კონტრტრანსფერის თემასთან. ამიტომ, მისი სიღრმისეული განხილვა უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენა, ვიდრე ცალკეულ წესებზე საუბარი, რასაც სურვილის და საჭიროების შემთხვევაში ეთიკის კოდექსშიც გაეცნობა დაინტერესებული პირი.

ამ მიზნით გავეცანი რამდენიმე მნიშვნელოვანი ავტორის ნაშრომს, თვითოეულ მათგანს თავისი გარკვეული ხედვა და მიზანი ქონდა და საბოლოოდ, ერიხ ნოიმანის ნაშრომს „ახალი ეთიკის" შესახებ მივანიჭე უპირატესობა. თუმცა მანამდე, კიდევ ერთი მიზეზი იყო - პაციენტის სიზმარში გამოჩენილი სიმბოლო, რასაც ადგილი ქონდა მუშაობის ტერმინალურ სტადიაზე. ამ სიმბოლომ მოსვენება დამიკარგა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვგრძნობდი, რომ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ვერ ვხსნიდი, რადგანაც ყველა ინტერპრეტაცია არაარსებითად გამოიყურებოდა.

სიზმრის შინაარსი შემდეგია:

„ ვუყურებდი, დიდი ბაყაყი როგორ ყლაპავს კუს, ნახევრად გადაყლაპული ყავს და ნახევარი ტანი, ჯერ კიდევ გარეთაა, მე შემეშინდა და გავიქეცი, რომ მეც არ გადავეყლაპეო“.

პაციენტს რაიმე ასოციაციები ამ სიმბოლოსთან დაკავშირებით არ ქონია, თვითონაც გაკვირვებული, ცოტა შეშინებული, საკუთარი სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ მთლიანად იყო მოქცეული.

როგორც ჩანს, ჩემის მხრივ, მეც შემეშინდა იმის, რომ ხომ არ ვიყავი ის ვინც პაციენტს გადაყლაპვით ემუქრება. ან პირიქით, ეს პაციენტი ხომ არ არის ის, ვინც მე უნდა გადამყლაპოს? როგორც აღვნიშნე ეს სიმბოლო გამოჩნდა ბოლო ეტაპზე, როდესაც წინასწარი შეთანხმების თანახმად, მალე უნდა დაგვესრულებინა ურთიერთობა. მანამდე კი, ჩვენს შორის ჩამოყალიბებული ტრანსფერ-კონტრტრანსფერი ხასიათდებოდა, როგორც დედაშვილის ურთიეთობა, ადგილი ქონდა პროექციული იდენტიფიკაციას.

აშკარაა, რომ ამ გამოსახულებას არქეტიპული მოტივის მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან პაციენტმა ზეპირსიტყვიერად გადმოგვცა შინაარსი და არა ნახატის სახით, შევეცადე საილუსტრაციოდ, მხატვრობში მომეძებნა მსგავსი შინაარსის არქეტიპული მოტივი. ისევ და ისევ იერონიმე ბოსხის ტრიპტიხის სახელწოდებით(‘The last Judgement’)„განკითხვის ჟამი“, პატარა ფრაგმენტში აღმოვაჩინე მსგავსი გამოსახულება, სადაც ერთი არსება ყლაპავს მეორეს, თუმცა ნახატის ამ ნაწილს პარადოქსულად„სამოთხე“ ეწოდება.

ქეისს დეტალურად არ შევეხები, რადგანაც ეს კონკრეტულ, სიღრმისეულ მუშაობას და მის ანალიზს მოითხოვს დინამიკაში. ხოლო, ჩემს მიზანს წარმოადგენს განვიხილო ეთიკის საკითხები ზოგადი თვალსაზრისით. მინდა, რომ რაღაცნაირად პასუხი გავცე ზემოთ დასმულ შეკითხვას და ამისთვის დავესეხები ჩვენი დროის ცნობილ, ბრიტანელ ანალიტიკოსს ესთერ სოლომონს, რომლის კვლევათა უმეტესობა ეთიკის საკითხებს ეხება. მის ერთ-ერთ ნაშრომში, რომლის სათაურია "Ethical attitude in training and practice" ის წერს:

"ანალიტიკურ ფსიქოლოგთა შორის ეთიკურ საკითხებზე მსჯელობა და კამათი დღემდე არ წყდება და ყოველთვის აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეთიკური კოდექსი, მისი წერილობითი ფორმით, მაინც საჭიროებს გარვეულ სიღრმისეულ წვდომას, თუ განხილვას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ისტორიული განვითარების ჭრილში"-

ჩემი ნაშრომიც ამგვარ პრინციპზეა აგებული, თუმცა ცალკე განხილვას ექვემდებარება ცნობილი იუნგიანელი კლასიკოსის, ერიხ ნოიმანის წიგნი, სათაურით „სიღრმისეული ფსიქოლოგია და ახალი ეთიკა.“ მე, ზოგადად მიმოვიხილავ არსებით მომენტებს ამ წიგნიდან, ხოლო მანამდე მინდა ჯოზეფ კემბელის პასჟი გაგაცნოთ.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი იუნგიანელი ანალიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯოზეფ კემბელი მისი ვრცელი წიგნის „Created Myth“-ის შესავალში აღნიშნავს, რომ „ასეული მილიონი წლის წინ, სიცოცხლის გარიჟრაჟზე, როდესაც ოკეანეში გაჩნდა ცოცხალი ორგანიზმები ერთუჯრედიანების სახით, მათ შორის ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი სახით განისაზღვრებოდა: „შენ შემჭამ, თუ მე შეგჭამო?“ ასე მარტივად, ბუნებრივად და არა აგრესიულად ჟღერს ეს შეკითხვა, რადგან ჯერ არ არსებობს ტკივილის შეგრძნება, არც წყენა არსებობს და არც გაშმაგებული ბრძოლა გამარჯვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ერთმა მათგანმა უნადა შთანთქოს მეორე, ეს განპირობებული იყო ბუნებით, თუ ღმერთით და ერთი მათგანი მეორის საზრდოს წარმოადგენდა. ორივეს მხრიდან ერთგვარ თანხმობას ქონდა ადგილი, რადგანაც, მხოლოდ ასეთი ქცევის წყალობით იყო შესაძლებელი ევოლუციის უსასრულოდ გრძელი გზის დაწყება.“ ჯოზეფ ქემბელი აღნიშნავს, რომ „ჩვენც, ადამიანები, ცოცხალი არსებები ვართ და იქიდან მოვდივართ, ამიტომაც ჩვენს სისხლს, დღესაც კი, ზღვის გემო აქვსო.“

მას მერე, რაც ცოცხალი ორგანიზმები ევოლუციის შედეგად, საბოლოოდ ფორმირდნენ და მათმა თითოეულმა ორგანომ დაიწყო ფუნქციონირება, ცხოველთა სამყარო ფართო სპექტრით წარმოჩინდა, ურთიერთობებიც გართულდა, აღარ იყო ნებაყოფლობითი განპირობებულობა, გაჩნდა აგრესია და შესაბამისად აგრესიული წინააღმდეგობა. გაჩნდნენ ძლიერი, კარგად ადაპტირებული მტაცებელი ორგანიზმები და შესაბამისად მსხვერპლები. დარვინის ტერმინით, რომ ვთქვათ, ადგილი ქონდა„ბრძოლას არსებობისთვის“. უკეთესი ადაპტაციის უნარის წყალობით, ზოგიერთი მათგანი ბუნებამ აღჭურვა განსაკუთრებული „საბრძოლო შეიარაღებით“: ხმელეთის მობინადრეები - კბილებით, ეშვებით და ბრჭყალებით. რაც

შეეხება ზღვის ბინადრებს, მაგალითად როგორიცაა ზვიგენი, მისი ყბები შევსებულია დიდი კბილების ორ-ორი მწკრივით. თვითოეული კბილი არა ძვლოვანი არამედ, ხრტილოვანი წარმოშობისაა, რათა ნადირობისას ადვილად მოძვრეს და ყბა არ დაუზიანდეს, ასევე, მალევე ამოვიდეს ახალი კბილი. ანუ, აგრესიულობა, შესაბამისი ბუნებრივი ეკიპირებით გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ცხოველებში თავდასხმის, თუ თავდაცვის სახით.

ჩვენ, ადამიანები მივეკუთვნებით მაღალ ორგანიზებულ არსებებს, რომელთაც, ბიოლოგიურ მეხსიერებაში შენახული გვაქვს ჩვენი წინამორბედების ყველანაირი გამოცდილება, რაც კი ევოლუციური განვითარების ხანგრძლივ გზაზე გამოვიარეთ და ეს ყოველივე ინსტინქტებისა და არქეტიპების სახითაა წარმოდგენილი. იუნგი აღნიშნავს, რომ“ ფსიქოლოგიურისა და ბიოლოგიურის ერთმანეთისგან გამოყოფა ხელოვნურია, რადგანაც ორივენი თანაარსებობენ და განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას. ჩვენი კოლექტიური არაცნობიერი შედგება ინსტინქტებისა და მათი კოორელატების - არქეტიპების ჯამისგან. ორივე მათგანი არის ვიტალური აქტივობის გამოვლინება. ინსტინქტებს მამოტივირებელი და მადეტერმინებელი მნიშვნელობა აქვთ. ისინი ცვალებადია და სხვადასხვა სახით გამოვლინდებიან, ასევე აქვთ ტრანსფორმაციის უნარი. მაგალითად, შიმშილი შეიძლება გამოვლინდეს როგორც ველური აგზნების სახით, ასევე სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით შეიძინოს მეტაფორული მნიშვნელობა, ან ტრანსფორმირდეს სიხარბის, დაუოკებელი სურვილის, მოუსვენრობის, ვნების ან განსაკუთრებული ამბიციის სახით.“ ჩვენთვის ცნობილია , რომ აგრესია ადამიანებში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და არაყოველთვის პირდაპირი სახით. იუნგი ასევე აღნიშნავს, რომ შიმშილის ინსტინქტი უფრო ძლიერია, ვიდრე სექსუალური, რადგანაც იგი სიცოცხლის გადარჩენასთანაა კავშირში, ხოლო სექსუალური - გამრავლებასთან, ანუ ინდივიდი ჯერ უნდა გადარჩეს, რომ შემდეგ გამრავლდეს.

მითოლოგიაში არის მშთანთქმელი ღმერთების მაგალითები, როგორიცაა კრონოსი,ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც საკუთარი შვილები შთანთქა ერთი მეორის მიყოლებით. ინდურ მითოლოგიაში ქალღმერთი კალი, რომელამაც ასევე შეჭამა მისი შვილები.

ხელოვნებაში, კერძოდ, მხატვრობაში მრავლადაა მაგალითები სადაც ასახულია ერთი არსების მიერ მეორის ჭამა, ან გადაყლაპვის პროცესი. ასევე გვაქვს იმის მაგალითი, როცა ადამიანი იგივეს ავლენს მეორე ადამიანის მიმართ, მაგალითად, ედვარდ მუნკის ნახატი, რომელსაც 2 სახელი აქვს: ერთი სახელია _--„სიყვარული და ტკივილი“ და მე-2 „ვამპირი“. ავტორი მიგვანიშნებს ამაღლებული გრძნობებისა და ცხოველური ინსტინქტის თანაარსებობასა და მათი ერთდროული გამოვლინების შესაძლებლობაზე უკიდურესი ფორმით, ერთ სუბიექტში.

ადამიანი განიცდიდა რა ევოლუციურ განვითარებას, ქმნიდა ისტორიას და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავდაპირველად, მათი ქცევები ბუნების კანონებით, იყო განპირობებული, ვგულისხმობ, რომ განვითარება მოჰქონდა იმ ფაქტს, რომ ერთი ინდივიდი მეორეთი საზრდოობდა. პირველყოფილ ადამიანებშიც, ყველანაირი აგრესიული ქცევა და კანიბალიზმი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ, ყოველი ჩადენილი აგრესიული აქტი, სასჯელს ითხოვდა, რაც თავის მხრივ, აგრესიაზე აგრესიით პასუხს გულისხმობს. ამის მრავალი მაგალითი აქვს მოყვანილი ზ.ფროიდს, მის წიგნში „ტოტემი და ტაბუ“.

ცნობიერების განვითარებასთან ერთად, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლიანი მოწესრიგების მოთხოვნილება გაჩნდა. პრიმიტივებში ამ ფუნქციას ასრულებდა ტაბუ, რომელიც აკრძალვებით და დასჯის შიშის მეშვეობით აკავებდა ინსტინქტურ ქცევებს, მოგვიანებით სამართლის აღსრულება ღვთის სახელით ხორციელდებოდა. მხოლოდ, ჩვ.წ.აღ.-მდე მე-18 საუკუნეში გაჩნდა პირველი შედარებით სრულყოფილი წერილობითი კანონების კრებული მესოპოტამიაში, რომელიც „ხამურაბის კანონების“ სახელწოდებითაა ცნობილი. მასში გატარებული იყო ტალიონის პრინციპი, ანუ „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“. შემდეგ შეიქმნა „რომის სამართალი“, რომელმაც მას დაუმატა სამოქალაქო დავებიც.

ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში, ეთიკის განმარტება შემდეგია: ეთიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომლის საგანიც არის მორალი და ზნეობა, როგორც სოციალური შემეცნება ის მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის და საზოგადოებრივ ცხოვრების კუთხით. იგი აანალიზებს ზნეობის წარმოშობას, მის ბუნებას ისტორიული განვითარების თვალსაზრისით.

ანტიკური და აღმოსავლური გაგება ეთიკისა არის ფილოსოფიისა და სამართლის ნაზავი, რაც გულისხმობდა სხეულისა და სულის ჰიგიენას. ზოგადად, ადამიანის ქცევის ნორმების შესახებ მსჯელობდნენ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: სოკრატე, არისტოტელე, პლატონი. არისტოტელემ პირველმა შემოიტანა ტერმინი „ეთიკა“. იგი განიხილავდა საკითხებს , იმის შესახებ, თუ რა არის ბოროტი და რა არის კეთილი. ამ

პერიოდში დადგენილ იქნა ეთიკის ე.წ. „ოქროს წესი, “ რომელიც შემდეგნაირად ჟღერდა: „ნურასოდეს უზამ სხვას იმას, რასაც არ ისურვებდი, რომ შენთვის ექნათ“. მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე, ამ დარგის მესვეურთ მკურნალობაში სიფრთხილისკენ მოუწოდებდა, და ძირითად პრინციპად მიიჩნევდა : „არ დააზიანო“. რაც ფსიქოთერაპევთებსაც ეხებათ.

ეთიკის საკითხებით დაინტერესებული იყვნენ შედარებით გვიანი პერიოდის ფილოსოფოსები, მაგალითად, თომას ჰობსი, მე-18 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი. იგი იკვლევდა, რა ეთიკის საკითხებს საზოგადოებრივი ურთიერთობის კუთხით, აღნიშნავდა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, ეს მისი ცნობილი გამოთქმაა და ლათინურად ასე გამოითქმის: „Homo homini lupus est“.

ერთმანეთისგან განასხვავებენ მორალს და ზნეობას. მორალი არის ის, რაზეც შეთანხმდა ესა თუ ის საზოგადოება და დაადგინეს ქცევის გარკვეული წესები, ანუ ნორმები. ხოლო ზნეობა მჭიდრო კავშირშია სულიერ მდგომარეობასთან, როგორიცაა სინდისი, ანუ შინაგანი ხმა.

ვიკიპედიაში, სინდისი განმარტებულია, როგორც ფსიქიკური პროცესი, რომელიც იწვევს ისეთ ემოციებს და რაციონალურ ასოციაციებს, რომლებიც დამყარებულია პიროვნების ღირებულებების სისტემაზე ან მის მორალურ ფილოსოფიაზე. სინდისი არის ძველი ბერძნული სიტყვა და ასე ჟღერს „suneidesis“, ითარგმნება, როგორც „ზნეობრივი შეგნება“ ან „მორალური ცნობიერება“, რასაც მთლიანად ემყარება „ახალი აღთქმა“, რომლის ანალოგიც არ არსებობს ძველ აღთქმაში.

ერიხ ნოიმანი მიჩნევს, რომ მორალური კოდექსის დაცვა და კოლექტიური ფასეულობების თანდათანობითი განვითარება, ხელს უწყობდა სინდისის ანუ სუპერეგოს განვითარებას, რაც თავის მხრივ, აძლიერებდა ეგოსა და ცნობიერ სისტემას. ათავისუფლებდა მას თავდაპირველი არაცნობიერი მდგომარეობისგან. სინდისი, როგორც ფსიქოლოგიური ინსტანცია არის კოლექტიური ფასეულობების წარმომადგენელი ინდივიდში.

ქრისტიანულ-იუდევური მორალი, თავის სიღრმეში კეთილისა და ბოროტის ცნებებზეა დამყარებული, (ბოროტში ინსტინქტები იგულისხმება). მისი არსი შემდეგია, რომ ყველაფერი რაც კარგია, ღმერთითაა განსაზღვრული, ხოლო ყველაფერ ცუდი ადამიანით. ლათინურად ასე ჟღერს „Omni bonum ad Dei, omni malum ad homini". იგი ანუ ქრისტიანულ- იუდევური მორალი დღესაც არის ადამიანური ქცევის დამარეგულირებელი, თუმცა არასაკმარისი და შეიძლება ითქვას, არასწორიც. ამიტომ ერიხ ნოიმანი მიიჩნევს, რომ საჭიროა ახალი ეთიკის მიღება, რასაც ის გვთავაზობს თავის წიგნში „სიღრმის ფსიქოლოგია და ახალი ეთიკა". იგი წერს, რომ ძველი ეთიკა დათრგუნვასა და მსხვერპლს ითხოვს, რადგანაც სთხოვს ადამიანს, რომ მხოლოდ კარგი იყოს, მაშინ როცა მასში აგრესიული ან სექსუალური მოთხოვილებებიც არსებობს. რაც ცნობიერი ფსიქიკიდან ინსტინქტების განდევნას გულისხმობს, ანუ არ ითვალისწინებს არაცნობიერი ფსიქიკის ტენდენციებსა და მის ზემოქმედებას ინდივიდზე, რითიც ხელს უწყობს მის გახლეჩას. ასევე, უგულებელყოფს ცნობიერსა და არაცნობიერს შორის კომპენსატორულ ურთიერთობებს, რაც კრიზისების გამომწვევი მიზეზია თანამედროვე სოციალურ სფეროში. იგი აღნიშნავს: " ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელია ის, რომ ადამიანში ჩაბეჭდილი ბოროტების კოლექტიური გამოვლინებები არნახულ მასშტაბებს აღწევს. სიღრმისეული ფსიქოლოგია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცნობიერი ინტერპრეტაციები, როგორიცაა იდეოლოგიური, პოლიტიკური და სოციოლოგიური, ვერ ხსნის მოცემული მოვლენების რეალურ მიზეზებს. მათ არ ძალუძთ განმარტონ, თუ რანაირად იპყრობს ბოროტება ადამიანთა სულებს. ვერც ძველმა ეთიკამ გამოავლინა უნარი, დაეძლია ადამიანში არსებული დესტრუქციული ძალები." მას შემდეგ, რაც ადამიანი დაეცა და განიდევნა სამოთხიდან, იგი ატარებს ცოდვილის ნიშანს, რაც არის მისი მარადიული სასჯელი, ხოლო მოსეს ათი მცნება, არის ძირითადად აკრძალვები და სასჯელი ამა თუ იმ მცნების დარღვევისთვის. ხოლო ადამიანის დასჯა, თუნდაც სიკეთის სახელით, მაინც არის ბოროტი ქმედება, მიიჩნევს ნოიმანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანის ფსიქიკა წარსულის გამოცდილების ყველანაირ ანაბეჭდს ინახავს, ხოლო ინსტინქტები უცვლელი სახითაა წარმოდგენილი. ნოიმანი, ზ.ფროიდის კვალდაკვალ განსაზღვრავს, რომ სუპერეგოს ზემოქმედებით, ეგო იძულებულია დათრგუნოს ან სულაც განდევნოს ცნობიერიდან ისეთი შინაარსები, რომლებიც კონფლიქტში მოდიან საზოგადოების მიერ მიღებულ ნორმებთან.

ნიღაბი, ანუ „პერსონა“ არის სწორედ, საზოგადოების მოთხოვნილებების სამსახურში, ამიტომ ყველაზე საინტერესოა, ის რაც ხდება მის უკან: დათრგუნული და განდევნილი შინაარსები. დათრგუნული შინაარსები უფრო ახლოს არიან ეგოსთან და ამდენად მეტი შანსი აქვთ მასთან ურთიერთობის, ანუ გაცნობიერების. ხოლო, განდევნილი შინაარსები საერთოდ იკარგებიან არაცნობიერის სიღრმეებში და ინდივიდის მიერ აღიქმებიან, როგორც სხვისი - ანუ არათავისი შინაარსები, ამას „ჩრდილის“ პროექციას ვეძახით. განდევნილი ჩრდილის შინაარსი შეიძლება იყოს როგოც უარყოფითი, ისე დადებითი. დადებითის უკიდურესი გამოვლინება შეიძლება იყოს მეგალომანია ანუ -განდიდების მანია. უარყოფითის შემთხვევაში, კი შეიძლება ადგილი ქონდეს სუიციდს ან მკვლელობას.

ნოიმანისეული „ახალი ეთიკა“ გულისხმობს განდევნილი შინაარსების გაცნობიერებას, რისი წყალობითაც მოხდება ამ შინაარსების რეინტეგრაცია, ეს თავის მხრივ მოხსნის დაძაბულობას და არ გამოიწვევს აფექტურ განმუხტვებს. ადამიანს ეცოდინება, რომ ის არ არის რაღაც განსაკუთრებულად წესიერი და კეთილი, მასშიცაა უარყოფითი და აღარ დაიწყებს მტრის ხატის შექმნას და მასთან ბრძოლას.

აქ მახსენდება ფრაგმენტი იუნგის წიგნიდან “Memories, Dreams and Imaginations”, სადაც ის ინდოეთში მოგზაურობისას ერთ-ერთ შთამბეჭდავ ეპიზოდს გვიზიარებს. იგი წაიყვანეს უძველესი ტაძრის დასათვალიერებლად, რომელზედაც ბარელიეფის სახით სექსუალუარი აქტის სხვადასხვა სცენები იყო გამოსახული, რაც თავის მხრივ გარკვეულ უხერხულობას იწვევდა. მან შენიშნა, რომ იქ, ექსკურსიაზე მოყვანილი ყავდათ პატარა, 8-10 წლის ბიჭები, რომლებიც უხერხულობისგან იშმუშნებოდნენ და

ჩუმად იცინოდნენ. როდესაც იუნგმა იკითხა, თუ რატომ მოიყვანეს ეს ბავშვები აქ. მას ადგილობრივმა თანმხლებმა უპასუხა: იმისათვის, რათა იცოდნენ, რომ მათშიც ასეთი ცხოველური ბუნება ზის და როდესაც ეს ეცოდინებათ აღარ გაამპარტავნდებიანო.

ნოიმანი, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გულწრფელობას და ამახვილებს ყურადღებას ტყუილზე, როგორც „ჩრდილის“ ერთ-ერთ გამოვლინებაზე. აქ მოყავს იუნგის ციტატა, რომ „ის ვინც სხვას ატყუებს, პირველ რიგში, თავის თავს ატყუებს და საბოლოოდ, კი ვეღარ ახდენს ჩრდილის რეინტეგრაციას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მის გამთლიანებას, ინდივიდუაციის გზაზე.“

ინდივიდუაციაზე საუბრისას ერიხ ნოიმანი გულისხმობს ადამიანებს, რომლებმაც უკვე გადალახეს ცხოვრების პირველი ნახევარი, ადაპტირდნენ ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად და ახლა ესჭიროებათ , რომ გაიარონ ინდივიდუაციის გზა. ამ დროს ეგო ჯერ კიდევ იმ მდგომარეომაშია, როცა იდენტიფიცირებს საკუთარ პერსონასთან, ანუ კოლექტიურ ფასეულობებთან. ამ გადასახედიდან მისთვის ძნელია და საკმარისად უსიამოვნო საკუთარ ჩრდილთან შეხვედრა. ჩვენი დროის ყველაზე გავრცელებული თავისებურებაა „ცოდვის გაცნობიერების “ სიძნელე. გასულ ეპოქებში ავადმყოფობა და წარუმატებლობა განიხილებოდა, ცოდვის, დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიებში. ახლა კი ყელაფერი გარე ფაქტორებს ან მემკვიდრეობას, ან ბავშვობაში არასწორ აღზრდას და ა.შ. ბრალდება.

ზ. ფროიდისა და ალფრედ ადლერის რედუქტულ-ანალიტიკურმა ნაშრომებმა გააშიშვლეს ეგოს ჩრდილოვანი მხარე ანუ ეგოს ილუზორული თვითშეფასება. სიზმრებში ფსიქიკის ეს ჩრდილოვანი ნაწილი სიმბოლური მნიშვნელობით ჩნდება : მათხოვრის, განკიცხულის, ქურდის, ყაჩაღის, სულელის ან დამცირებულის სახით. პირადი კრიზისი ადამიანს აიძულებს ჩავიდეს ისეთ სიღრმეებში, სადაც ის თავისი ნებით არასდროს ჩავიდოდა. ეგოს ძველი იდეალიზებული ხატი უნდა დაიმსხვრეს. ამ გზით გახდება შესაძლებელი ფსიქიკის მრავალმხრივობის დანახვა. და იმის დანახვაც, რომ საკუთარი ფსიქიკის სიღრმეში ძევს აგრესიული და დესტრუქციული ლტოლვები. ძნელია, მაგრამ გარდაუვალია საკუთარი ბოროტების აღიარება. თუ ეს აღიარება არ

მოხდება, მაშინ ინდივიდი მისივე „ჩრდილის“ ტყვეობაში დარჩება და უფრო მეტიც, მასზე დამოკიდებული გახდება.

ე. ნოიმანის „ახალი ეთიკა“ ორიენტირებულია პიროვნების გამთლიანებაზე. ახალი ეთიკისმიერი გზა არავითარ შემთხვევაში არ ემსახურება ინდივიდის ცხოვრების შემსუბუქებას. პირიქით, ის გულისხმობს უცხო სიღრმეებში ეგოს ჩაძირვას, მოულოდნელ განცდებთან, საკუთარ ბოროტებასთან შეხვედრას და საბოლოოდ, მასთან შერიგებას.

პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს ახალი ეთიკა არის ჭეშმარიტების პრინციპი, რაც მდგომარეობს ცნობიერის მიერ არაცნობიერის შინაარსების რეგულირებაში ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. პირადი ბოროტების აღიარება არის სიკეთე, ხოლო, ზედმეტი სიკეთის კეთება, რომელიც გადის ფაქტობრივი შესაძლებლობის ფარგლებიდან, არის ბოროტება.

ბოროტების აღიარებით, თანამედროვე ადამიანი აღიარებს როგორც სამყაროს ისე თავის ორბუნებოვანებას, რასაც მასში განსაზღვრავს არა ეგო და არც სუპერეგო, არამედ- „სელფი“ (თვითობა). ეს ტერმინი კ.გ. იუნგს ეკუთვნის და განისაზღვრება, როგორც მთლიანი ფსიქიკის ცენტრი. „სელფის“ აქტიურობა თავს იჩენს ინდივიდუაციის პროცესში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უარყოფილი შინაარსების ასიმილაციას ტრანსფორმაციის გზით. აღნიშნულის, ანუ ტრანსპორმაციის სიმბოლოები ჩნდებიან ადამიანის სიზმრებში ალქიმიური სიმბოლოების სახით, რაც სწორედ, გამთლიანების მაჩვენებელია.

ამ შემთხვევაში ახალი ეთიკის ღირებულებები ნოიმანის მიხედვით შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: ყველაფერი, რასაც გამთლიანებისკენ მივყავართ არის სიკეთე; ხოლო რასაც რღვევისა და დაყოფისკენ მივყავართ არის ბოროტება. სიცოცხლე და კონსტრუქციული ტენდენციები არის სიკეთე; ხოლო დესტრუქცია, დეზინტეგრაცია და სიკვდილი - არის ბოროტება. უარყოფითის, ანუ „ჩრდილის“ მიღება არის არა მხოლოდ სიძლიერის კრიტერიუმი, არამედ განიხილება, როგორც ეთიკური მიღწევა.

აქ ნოიმანი ეხება ფსიქოთერაპევტის ეთიკას, მაგალითად მოყავს იუნგის ციტატა: „როდესაც ექიმი აღმოაჩენს, რომ პაციენტი იმყოფება მისი ცხოვრების იმ მომენტში, როცა ეს-ეს არის შეეჯახა თავის ბნელ მხარეს, ექიმმა თავს არ უნდა მისცეს იმის უფლება, რომ გააკეთოს სულელური ჟესტი და საკუთარი მორალური უპირატესობის გრძნობით მიუთითოს მორალზე, ან კანონზე და უთხრას: „შენ ეს არ უნდა გააკეთო!“ არამედ, უნდა იხელმძღვანელოს არა განათლებითა და რელიგური ცოდნით, არამედ დეტალებში გამოიკვლიოს ვითარება, შემდეგ აწონ-დაწონოს და იმოქმედოს ინსტინქტსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით“.

ფროიდის თანახმად, აგრესიული იმპულსების გარდაქმნა სუბლიმაციის გზით ხდება. მაგალითად, ამბობს იგი, თუ სისხლის წყურვილით შეპყრობილი ადამიანი ყასბად დაიწყებს მუშაობას, ამით მისი ინსტინქტი საზოგადოებრივად მისაღებ ფორმად გადაიქევა, რაც არ ნიშნავს ჭეშმარიტ ცვლილებას. ტრანსფორმაცია კი, იუნგის თანახმად, თვითობის, ანუ სელფის საქმეა გამთლიანების გზაზე. ამგვარად, ინდივიდუაციის პროცესი ეთიკასთან უშუალო კავშირშია.

კ. იუნგი აღნიშნავს, რომ „ცნობიერი და არაცნობიერი შინაარსების სინთეზი მიიღწევა ფსიქიკის ძალისხმევითა და სულიერი კონცენტრაციით, თუმცა, ამისათვის უკვე უნდა არსებობდეს არაცნობიერი განწყობა, რასაც ასიმილაციამდე მივყავართ. ინსტინქტის ასიმილაცია და რეალიზაცია ფერთა სპექტრში არასოდეს არის წითელი ფერის. არამედ, იგი არის იისფერი ანუ არქეტიპული ხატი, რაც განაპირობებს ინტეგრაციას. ვინც კარგად იცნობს რელიგიას, იცის, რომ ფიზიკური და სულიერი ვნებები ერთმანეთის მტრები არიან, მაგრამ ისინი ამავდროულად ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან“brothers- in-arm”: ორივე რეალური არიან, ერთმანეთს ცვლიან და ქმნიან ოპოზიციურ ერთიანობას, ანუ ენერგიის წყაროს.“(ტ.მე-8, გვ212)

„ახალი ეთიკა“ ნოიმანის გაგებით, გვთავაზობს ადამიანის მიღებას მისი კარგითა და ცუდით და ამბობს, რომ “ თვით ღმერთიც კი არ იყო სრულყოფილი, ამიტომ შეიყვარეთ იგი მთლიანად“-ო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ საკითხზე მუშაობისას რამდენიმე ნაშრომის წაკითხვა მომიწია, მაგრამ თითოეულ მათგანს სხვადასხვა მიზანი ქონდა და მეც სხვადასხვა მიმართულებით მიწევდა ფიქრი.

ზოგიერთი განმარტების თანახმად, ეთიკას განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერებას კეთილისა და ბოროტის შესახებ. იუნგიანური ტერმინებით, რომ ვთქვათ ეს შეფასება გრძნობითი სფეროს ფარგლებში რჩება, ანუ რაციონალურია. ძირითადი მუშაობა ინდივიდუაციის პროცესში მიმართულია გრძნობითი ფუნქციის განვითარებაზე. მის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს ყველა დანარჩენი ფუნქცია, ხოლო მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტუიციას. მათი ერთობლიობით, არქეტიპული სიმბოლოს გამოჩენით ანუ ტრანსცენდენტული ფუნქციის აღმოცენებით, მიიღწევა ტრანსფორმაცია, რასაც საბოლოოდ პიროვნების მთლიანობისკენ მივყავართ.

დავუბრუნდები, ზეოაღნიშნულ პირველ ფიგურას, რომელიც პაციენტის სიზმრიდან იყო მოტანილი და რომელმაც მომცა სტიმული სიღრმისეულად გავცნობოდი ეთიკას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. იუნგის ნაშრომში სათაურით „The intrerpretation of Nature and Psyche“, Synchronicity and acauzal connecting“, აღმოვაჩინე მსგავსი შინაარსის ფიგურა, რომელიც არის ქვაზე ამოტვიფრული, ძალიან ძველი ფიგურა: ეს არის გველის გამოსახულება, რომესაც პირში აქვს ნახევრად გადაყლაპული თევზი, ანუ ყლაპვის პროცესშია.

ეს გამოსახულება არქეტიპული მნიშვნელობისაა და იუნგმა ის მოიტანა სინქრონულობის საილუსტრაციოდ. სინქრონულობას კი განმარტავს, როგორც გარკვეულ ფსიქიკურ მდგომარეობას, როდესაც ორი დამოუკიდებელი შინაარსი ერთმანეთს ემთხვევა დროში. ის აგრეთვე სულისა და სხეულის ერთიანობასაც გულისხმობს. სინქრონულობა თანდაყოლილი „აბსოლუტურ ცოდნაა“, რომელიც მომდინარეობს არა ეგოდან, არამედ არაცნობიერიდან. ასევე განმარტავს, როგორც მაკროკოსმის არსებობას მიკროკოსმში.

მე საგანგებოდ გავუსვი ხაზი, რომ ჩემმა პაციენტმა აღნიშნული სიზმარი მოიტანა, ჩვენი ანალიზის დამამთავრებელ სტადიაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ჩემი შეშფოთებისა, იმის შესახებ, თუ ეთიკურად რამდენად სწორად ვიქცეოდი, როგორც ანალიტიკოსი, საბოლოოდ სინქრონულობის სიმბოლოთი დასრულდა, ეს კი მიანიშნებს, რომ პაციენტის ფსიქიკაში ადგილი ქონდა ტრანსფორმაციას. თუმცა ამ დასკვნის გასაკეთებლად საკმაოდ დიდი შრომა და დრო დამჭირდა.